# წითელი არმიელი

281 (979) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყის ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## განცხადება.

გაზ. „წითელ არმიელის“ რედაქცია ამით აცხადებს ქ. თბილისში მდგომ ნაწილების ყველა სამხკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 12 დეკემბერს, ნაშუადღევის სრულ 5 საათზე დივიზიის ცენტრალურ კლუბში მოწვეულია

### თათბირი,

რომლის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. სამხკორთა მუშაობის ამოცანები.
2. მიმდინარე კითხვები.

ნაწილების სამხკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

გაზ. „წითელ არმ.“ რედაქცია.

## გადაუდებელი, დამკვრელი ამოცანა. ჩავაბათ „ცვალებადელები „წითელ არმიელის“ თანამშრომლობაში.

უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც ტერშეკრება დასრულდა. ცვალებადელი სამხკორი, რომელიც მჭიდროთ იყო დაკავშირებული ჩვენ გაზეთთან შეკრების დროს აღარავერს აღარ იწერება.

მან დაივიწყა „წითელი არმიელი“ და შეწყვიტა მასში თანამშრომლობა. ნორმალურია ასეთი მდგომარეობა?

რასაკვირველია არა. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ ცვალებადელის კავშირი შეკრებათა შორის წითელ ჯართან მეტად მჭიდრო უნდა იყოს. ამ კავშირის ერთერთი საუკეთესო საშუალებათაგანია ჩვენი გაზეთიც. „წითელ არმიელის“ მეოხებით ცვალებადელი მუდამ გაცნობილი იქნება წითელი ჯარის მიმდინარე ყოფა-ცხოვრებასთან, მის მუშაობასთან სამხედრო საქმესთან და სხვა. ჩვენი გაზეთის საშვალებით აგრეთვე შეიძლება ცვალებადელის სამხედრო მზადების ხელმძღვანელობა და საერთოდ მთელი მისი საზოგადოებრივ მუშაობის.

ყოველივე ამისათვის საჭიროა რომ ჩვენ გაზეთს ყოველი ცვალებადელი კითხულობდეს მუდმივათ. და არა თუ კითხულობდეს, არამედ კიდეც თანამშრომლობდეს მასში აქტიურად.

რაზედ უნდა სწეროს ცვალებადელმა? რასაკვირველია იმის შესახებ, თუ რას აკეთებს ის თავის სამხედრო ცოდნის გაფართოების საქმეში, როგორ მიმდინარეობს მის სოფელში და რაიონში გასამხედროების საქმე, როგორ მუშაობს ქოხსამკითხველოსთან არსებული სამხედრო კუთხე, ან როგორ არის ის დაყენებული და სხვა. გარდა ამისა ცვალებადელმა უნდა მოგვაწოდოს კორესპონდენციები იმის შესახებ თუ როგორ მიმდინარეობს საბჭოთა აღმშენებლობა სოფლად და სხვა. ასე რომ ჩვენი გაზეთისათვის მოსაწოდებელი მასალა ცვალებადელს ბლომად აქვს.

საჭიროა მხოლოდ, რომ მან გულმოდგინეთ მოკიდოს ხელი კალამს და შეუდგეს ჩვენი გაზეთში სისტემატიურად წერას.

ამაზე კი უნდა იზრუნონ ჩვენი ტერნაწილების პასუხისმგებელ სამხკორთა ორგანიზატორებმა და სამხკორთა წრეებმა. მათ აქედანვე უნდა გააბან თავის ცვალებადელებთან კავშირი და უნდა მოუწოდონ მათ გამოიწერონ ჩვენი გაზეთი და აგრეთვე რაც მთავარია--სისტემატიურად მოაწოდონ ჩვენს გაზეთს კორესპონდენციები სოფლიდან.

ცვალებადელების ჩვენი გაზეთის თანამშრომლობაში მიზიდვის საქმეში ენერგიული მუშაობა უნდა გასწიონ არა მარტო სამხკორ-ორგანიზატორებმა, არამედ ტერნაწილის ყველა პასუხისმგებელ მუშაკებმაც.

ამა თუ იმ გზით ჩვენ უნდა მივაღწიოთ მას, რომ ცვალებადელები ფართედ ჩავაბად ჩვენი გაზეთის თანამშრომლობაში.

ეს მორიგი, დამკვრელი, გადაუდებელი ამოცანაა, რომელიც წარმატებით უნდა მოიყვანონ სისრულეში ჩვენმა ტერნაწილებმა. ამ ამოცანის ნაყოფიერად გადაჭრა დიდათ შეუწყობს ხელს ტერ-სისტემის განვითარებას ჩვენ საქართველოში. კვლავ მჭიდროთ დაუკავშიროთ ჩვენი ცვალებადელები „წითელ არმიელს“.!!!

## ახალი რადიო-ამბები

### სამოქალაქო ომი ჩინეთში

**მუკდენში მღელვარებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია**

—

**მუკდენის ჯარები ჩრდილოეთისაკენ გარბიან.**

—

**გენერალი ლი-ჩუი-ლინი ემზადება სახალხო არმიებთან ბრძოლისთვის.**

—

**ჩჟან-ძო-ლინი დაირანში გაიქცა**

მუკდენში მღელვარებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია. მოსახლეობა ჯგუფ-ჯგუფად გარბის იაპონიის კონცესიაში.

მუკდენის ჯარები უწესრიგოდ გარბიან ჩრდილოეთისაკენ. გარბიან ჩჟან ძო-ლინის მომხრეებიც.

თვითონ ჩჟან ძო-ლინი, როგორც ცნობებიდან სჩანს, გაიქცა დაირანში. ამბობენ, რომ მან უარი განაცხ და პოლიტიკურ მოღვ წეობისაგან.

ჩჟ ნ-ძო-ლინის მომხრე ჩჟილის გუბერნატორი ლი ჩჟილინი განაგრძობს სახალხო არმიებთან ბრძოლისთვის მზადებას.

ჩინეთის მთავრობის დროებითი უფროსმა დ ჟან-ჯზი-დუიმ მოიწვია 8-მდი სარდალი შექმნილ მდგომარეობის გასარჩევად.

5 დეკემბერს შანხაიში გაიმართა ფართე მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა 50000-დე კაცი, მეტ ნაწილად მუშები და სტუდენტები. მიტინგი მოითხოვდა სახალხო მთავრობის შექმნას, უთანასწორო ხელშეკრულების გაბათილებას, სამოქალაქო თავისუფლებას და სხვა. ასეთივე მოთხოვნილებით გაიმართა დემონ სტაცია ნანკინში.

### ბოიკოტი იტალიის მთავრობის მიმართ

იტალიაში შესდგა ეროვნულ კავშირთა საბჭოს სხდომა. სხდომაზე გადაწყდა განაგრძონ ბოიკოტის პოლიტიკა იტალიის მთავრობის მიმართ.

### ბრძოლა სირიაში

**სირიაში გრძელდება ბრძოლა**

**აჯანყებული დრუზები განაგრძობენ დამასკზე შეტევას**

**საფრანგეთის ჯარების სარდლად სირიაში დაინიშნა გენერალი გამელენი**

აჯანყებულ დრუზებმა წინადადებით მიმართეს ზავის შესახებ საფრანგეთის უზენაეს კომისარს სირიაში დე-ჟუვენელს. დე-ჟუვენელმა წინადადება არ მიიღო. ბრძოლა გრძელდება.

დამასკის მიდამოებში დრუზებმა კვლავ განაგრძობენ ქალაქისაკენ შეტევას. დამასკის ქუჩებში საღამოს ექვსი საათიდან სწყდება მოქალაქეთა მოძრაობა.

საფრანგეთის ჯარების სარდლად სირიაში დანიშნულია გენერალი გამელენი, რომელიც ემორჩილება უზენაეს კომისარს დე-ჟუვენელს.

### მოგვეცით ჩვენი შვილები!

(საფრანგეთის კომუნისტურ გაზეთ იუმანიტედან).



მთელ საფრანგეთში არ წყდება მუშათა დემონსტრაციები სირიისა და მაროკოს ომის წინააღმდეგ, რომელიც სწარმოებს ბანკირებისა და სამხედრო კლასის ინტერესებისათვის.

## მუშათა კლასის მთლიანი ფრონტი მიღწეული იქნება.

ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები იბრძვიან მუშათა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად. კომუნისტები ლაპარაკობენ: მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია მაშინ გაიმარჯვებს, როცა ყველა ქვეყნის მუშები მტკიცედ და ერთსულოვნად შეკავშირდებიან, გააერთიანებენ თავის რიგებს და შეუდრეკლად იბრძოლებენ თავისი ინტერესებისათვისო. განსაკუთრებით საერთაშორისო მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნა საჭიროა დღეს, როცა წელმომაგრებული ბურჟუაზია უმოწყალოდ ყვლეფს მუშათა კლასს და სასტიკად სჩაგრავს მას.

მაგრამ კომუნისტების მიზანს წინ ეღობებიან მენშევიკები, სოციალ-გამყიდველები, მთელი მეორე ინტერნაციონალი, რომელთა წყალობით 1914 წელში ჩაიშალა მუშათა კლასის ერთიანი ფრონტი და დამარცხებული იქნა გერმანიაში, უნგრეთში, იტალიაში, ბულგარეთში და სხვა ქვეყნებში მომხდარი რევოლიუციები.

მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნას ებრძვის აგრეთვე ამსტერდამის პროფკავშირების ინტერნაციონალი. ამ ინტერნაციონალს მეთაურობენ იგივე მოღალატე მენშევიკები. მათი წყალობით ევროპის მუშათა პროფკავშირები გადაქცეული არიან ბრმა იარაღათ ბურჟუაზიის ხელში.

ყვითელი პროფკავშირები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობენ მუშების ინტერესებს და ერთგულად ემსახურებიან ბურჟუაზიას. ამსტერდამის ინტერნაციონალის მესვეურები სასტიკი წინააღმდეგი არიან მუშათა კლასის გაერთიანებისა მსოფლიოში და მისი წაყვანისა რევოლიუციონური გზით. ამიტომ, როცა საბჭოთა პროფკავშირებმა შეუთვალეს ამსტერდამელებს გავაერთიანოთ მუშათა კლასის რიგებიო, ყვითელი პროფკავშირების ბელადებმა უარი განაცხადეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ ამსტერდამის მესვეურებმა არ მოისურვეს მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნა, ეს იდეა არ განხორციელდება. სრულიადაც არა. მთლიანი ფრონტის იდეა თანდათან იპყრობს ევროპის პროლეტარიატის ფართო ფენებს. ავიღოთ ინგლისი. ინგლისის მთელი პროფმოძრაობა და მისი ხელმძღვანელები თანახმა არიან მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნისა და კიდეც იბრძვიან ამ მიმართულებით.

ინგლისის პროფკავშირების მესვეურები ყოველმხრივ სცდილობენ დაიყოლიონ თავისი ნებაზე ამსტერდამის ყვითელი ბელადები, მაგრამ ამაოდ. ამსტერდამელები წინააღმდეგი არიან საბჭოთა პროფკავშირებთან მოლაპარაკების გამართვისაც კი მსოფლიო პროფმოძრაობის გაერთიანების შესახებ. ერთი წელიწად ნახევარია რაც მოლაპარაკება სწარმოებს ჩვენი პროფკავშირების წარმომადგენლებსა და ამსტერდამელების შორის, მაგრამ უნაყოფოდ. ამ დღეებში მოხდა ამსტერდამის აღმასკომის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც დასმული იქმნა საკითხი საბჭოთა პროფკავშირებთან ერთად გაერთიანებულ ყრილობის მოწვევის შესახებ, მაგრამ აქაც თავისი გაიტანეს მუშათა კლასის გამყიდველებმა და კვლავ ჩაფუხეს ეს საკითხი.

მაგრამ მით უარესი მათთვის.

მუშები მათ გარეშეც მონახავენ გაერთიანების გზას. დღითი დღე ევროპის პროლეტარები რწმუნდებიან მენშევიკების გამცემლობაში და დგებიან რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე.

ამის საუკეთესო მტკიცებაა ინგლის—საბჭოთა პროფკავშირების კომიტეტის შექმნა. და რაც არ უნდა ეცადონ ბურჟუაზიის ერთგულ ლაქიებმა ხელი შეუშალონ მუშათა კლასის გაერთიანებას სულ ერთია ისინი ვერრას გახდებიან. კომპარტიის მეთაურობით მუშათა კლასი სავსებით შესძლებს თავისი რიგების დარაზმვას მთელ მსოფლიოში რევოლიუციონური ბრძოლის დროშის ქვეშ.

— ე.

## ლიტერატურულ წრეების გაჯანსაღებისათვის

სამხატვრო-სასცენო წრეების შორის ლიტერატურულ წრეს უკავია საპატიო ადგილი. როგორ მიმდინარეობს ლიტერატურული მეცადინეობა ჩვენ ნაწილებთან არსებულ ლიტერატურულ წრეებში? უმრავლეს კოლექტივის წრეს არა აქვს არავითარი სამეცადინო გეგმა, მეცადინეობას წრე უსისტემოთ, შემდეგ მთელი მუშაობა წრის განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ლექსების დაზეპირებით და ლიტერატურულ საღამოების მოწყობით.

როდესაც ვაარსებთ ამა თუ იმ ნაწილში ლიტერატურულ წრეს უნდა ნათლად გვქონდეს გათვალისწინებული მისი მიზანი და დანიშნულება. ლიტერატურული წრე ისახავს მიზნად გააცნოს წითელ არმიელების ფართო მასას როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ლიტერატურა. რომ განვახორციელოთ ეს მიზნები ცხოვრებაში, საჭიროა ნათელი და გარკვეული გეგმა, სისტემა. თუ ხელმძღვანელს არა აქვს გეგმა, მის მუშაობას ექნება შემთხვევითი ხასიათი და მუშაობა იქნება უსარგებლო. წრის დაარსების დროს უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ წითელ-არმიელთა მასა დღეს გაცილებით უფრო შეგნებულია და მომზადებული, ვიდრე იყო ამ ორი-სამი წლის წინათ და მას დღეს აქვს მეტი მოთხოვნილება, ამიტომ მუშაობა ძველი ხაზით ეხლა დაუშვებელია. წრემ თავის შინა-მუშაობაში უნდა შეისწავლოს, როგორც ვიცით, საქართველოს და უცხოეთის ლიტერატურა. მხოლოდ ამ შესწავლას არ უნდა ჰქონდეს იდეოლოგიით და საკლასო ხასიათი. შესწავლა უნდა იყვეს დამყარებული წევრების ნებაყოფლობაზე, საჭიროა მხოლოდ მათი დაინტერესება ამ საქმით. წრე უნდა მისცეს თავის წევრებს ნათელი წარმოდგენა ლიტერატურაზე, მის მიერ განვლილ სოციალურ გზაზე და ლიტერატურის დღევანდელ მდგომარეობაზე საბჭოთა კავშირში და მსოფლიოს ხალხებში.

წრის წევრები მუშაობის მსვლელობაში გაეცნობიან მწერლებს, მათ ნაწარმოებებს და შემდეგ წრეში განიხილავენ. მუშაობა გამოიტანება მასაზე ლიტერატურულ საღამოების გამართვის სახით. უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება ლიტერატურულ საღამოების ორგანიზაციას, რომ ისინი ატარებდნენ მხატვრულ ხასიათს და იქნენ ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებელნი.

დროგამოშვებით უნდა იმართებოდეს საღამოები პროგრამით, რომელიც შეეფერება მეთაურთა მოთხოვნილებებს, რათა ეს უკანასკნელნიც დაინტერესოთ ლიტერატურულ წრის საქმიანობით და ჩავაბათ მის მუშაობაში.

ლენინის კუთხეში ლიტერატურულ წრეს უნდა ჰქონდეს თავის განყოფილება. აქ გამოიფინება წრის ნამუშევარი, მწერლების სურათები ბიოგრაფიით, წრის წევრების შემოქმედებანი და სხვა. განყოფილება უეჭველია დააინტერესებს წითელ არმიელთ და მიიზიდავს მათ წრეში სამუშაოდ.

ე. ხუციშვილი.

## საბჭოების სანიმუშო არჩევნები წითელ ყაზარმაში.

საბჭოების ხელახალი არჩევნების კამპანიები უკვე დაიწყო მაზრებში, სამისო მუშაობა უნდა დაიწყოს ჩვენს ნაწილებშიაც. საბჭოების გადარჩევის კამპანიის ჩატარების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს პრაქტიკულ მხარეს უნდა უჩვენოთ წითელ არმიელებს, თუ როგორ ხდება სინამდვილეში საბჭოების არჩევნები. ამისათვის საჭიროა, რათა ნაწილის ერთეულები შეუფარდოთ სათანადო ადმინისტრატიულ დაყოფას მაგალითად: ოცეული უნდა შეუფარდოთ სოფელს, ასეული—თემს, ათასეული—მაზრას და ლეგიონი კი რესპუბლიკას; დანიშნული უნდა იქნას წინასწარ საბჭოთა აპარატების ფიქტიური თავმჯდომარეები (სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, თემაღმასკომის და ა. შ.) დანიშნულ უნდა იქნეს აგრეთვე საარჩევნო კომისიები თანახმად ინსტრუქციისა. როგორც თავმჯდომარეებმა, ისე საარჩევნო კომისიებმა უნდა შეადგინონ სანიმუშო მოხსენებები. ყოველივე ამ წინასწარ მუშაობის გათავების შემდეგ უნდა მოწვეულ იქნას კრებები დაწყებული სოფლიდან ე. ი. ოცეულიდან. ხსენებულ კრებაზე მოხსენებით უნდა გამოვიდეს ფიქტიური სოფ. საბჭოს თავმჯდომარე და წარუდგინოს მოხსენება სოფელს (ოცეულს) თავის მუშაობის შესახებ. მოხსენება ისე უნდა იყოს აგებული, რომ ამან გამოიწვიოს სიხალისე და აქტივობა დამსწრეთა შორის. მოხსენებსს შემდეგ გამოვლენ გლეხები (ე. ი. წ. არმიელები) კრიტიკით და მიუთითებენ საქმის ნაკლზე. კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ უნდა იქნეს ვრცელი რეზოლიუცია. ამის შემდეგ საკითხი იქნება ახალი საბჭოს არჩევნებისა. შემდეგ მოხსენებით უნდა გამოვიდეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, სადაც უნდა აღინიშნოს, რამდენი ღებულობს არჩევნებში მონაწილეობას, რამდენი არ ღებულობს და რატომ (ყოფილი პოლიციელები, მღვდლები, ვაჭრები და სხვა).

შემდეგ ასახელებენ ახალ საბჭოს წევრებს და პერსონალურად უყრიან კენჭს. ყოველივე ამის შემდეგ ირჩევენ დელეგატებს სათემო საბჭოს ყრილობაზე. აქ განმეორდება იგივე ე. ი. თემაღმასკომის თავმჯდომარის ანგარიში, კრიტიკა, აღმასკომის არჩევნები, დელეგატების არჩევნები, სამაზრო ყრილობაზე, და ასე შემდეგ რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობამდე ჩათვლით.

ასეთი არჩევნების პრაქტიკულ ჩვენებას აქვს დიდი მნიშვნელობა ერთის მხრივ იმით, რომ წ. არმიელი დაწვრილებით ეცნობა საბჭოთა აპარატის სტრუქტურას, ნაწილობრივ ეცნობა კონსტიტუციას (არჩევნების უფლება) და მეორე ეს ის, რომ წ. არმიელი ებმება აქტიური მუშაობაში.

ეს არის საუკეთესო საშვალება საბჭოების არჩევნების კამპანიის ჩატარებისა ნაწილებში და ვფიქრობთ, რომ ნაწილები ამას შესძლებენ, საჭიროა მხოლოდ კლუბმა მობილიზაცია გაუკეთოს თავის ძალებს და ჩაატაროს წინასწარი მზადება მიზანშეწონილად მით უმეტეს, რომ ეს წესი არ მოითხოვს არავითარ განსაკუთრებულ თანხებს.

ნ. ბ—ლი.

## შეისწავლე სამხედრო საქმე

### წვევამდე მომზადება.

წვევამდე მომზადება საბჭოთა ქვეყნის მოქალაქის პირველი ნაბიჯია სამხედრო საქმის შესწავლის საქმეში.

აქ წვევამდელი გადის მებრძოლის მომზადებასა და სროლას.

რატომ იწყება წვევამდე მომზადება ზამთრის პერიოდში? ხელსაყრელია თუ არა ეს წვევამდელ გლეხისთვის?

ზამთარში ყანის მუშაობა უკვე აღარ არის. გლეხები უფრო თავისუფალია. მათ აქვთ დრო, რომელიც შეიძლება მოხმარდეს სამხედრო მომზადებას. ამის გარდა მეთაურთა შემადგენლობა, რომელმაც უნდა აწარმოოს წვევამდელთა შორის მეცადინეობა, ამ დროს უფრო თავისუფალია და იმყოფება თავის სამეცადინო რაიონებში.

წვევამდლის პროგრამა 2 წლიანია—210 საათი წელიწადში.

პროგრამის მთავარი მიზანია ტეხნიკურ მეომრის მომზადება და ტყვიამფრქვევის მოკლე გაცნობა.

მაგრამ წვევამდლის მუშაობის მთავარი და ძირითადი ამოცანა არის ის, რომ წვევამდელი მთელი მეცადინეობის განმავლობაში გაწვრთნას, როგორც კარგი მსროლელი.

ამ მიზნით მთელი დროისთვის შემოღებულია დაწყებითი სროლა, სასპორტო სროლა მცირე ყალიბიან შაშხანიდან, სროლა შემცირებული გატენით და სროლა საფანტით. ამ სროლის წესიერად ჩატარება მისცემს არმიას კარგ მსროლელებს. ამიტომ ამ საქმეს მზადების პირველ დღიდანვე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

წვევამდელმა უნდა შეიყვაროს სროლის საქმე და გულმოდგინედ ივარჯიშოს სროლაში.

წვევამდე მომზადების დაწყებიდანვე მეთაურთა შემადგენლობამ მეტად დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სროლის საქმეს და სხვა და სხვა სახის სროლის ჩატარებას. თუ შესრულებულ იქნება ეს პირობები, სროლის მომზადების საქმე მხოლოდ მაშინ წავა წინ, ვინაიდან ეს წვევამდლები უკვე მომზადებულები შევლენ არმიაში.

ი. ბ.

### როგორ გაიგო ახალწვეულმა პირველად, თუ რა არის დისციპლინა.

არმიაში ახლად მოსულ მეომარს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ჯარში არსებულ წესრიგის კარგად გაცნობა. მოუნდა მას დილით კარგად გამოძინება, როგორც ამას სახლში იყო ჩვეული. სძინავს არხეინად. არ ესმის საყვირის ხმა, რომელიც იწვევს წითელარმიელებს მეცადინეობაზე.

საიდგანღაც გაჩნდა ასეულის მორიგე, რომელიც პასუხისმგებელია ყველაფერში და კერძოდ—რათა ყველანი თავის დროზე იქნან გაღვიძებული.

აღვიძებს დაძინებულ წითელ არმიელს, წინადადებას აძლევს სწრაფად ჩაიცვას და ჩადგეს მწყობრში დილის ამოკითხვაზე.

წითელარმიელი ისე მოიქცა, როგორც მორიგემ დაარიგა. მაგრამ თავში მთელი დღე უტრიალებდა ფიქრი: რატომ აქ, არმიაში ასეა საქმე დაყენებული: ბრძანების მიხედვით ადექი, მეცადინეობაზე წადი, ისადილე, ივახშმე, დაიძინე. ეს საკითხები აწვალებდა ახალგაზრდა წითელარმიელს.

ხოლო ახსნა მან ეს საკითხები, მეორე დღეს, როცა ათეულის უფროსმა განმარტა მეცადინეობაზე, თუ რა არის დისციპლინა წითელ არმიაში რა საჭიროა ის.

აღმოჩნდა, რომ დისციპლინა არმიაში ყველაზე მეტი საჭირო ყოფილა, ვინაიდან აქ უმნიშვნელო დაუდევრობაც კი, სიზარმაცე, თავის დროზე საქმის აუსრულებლობა და უწესრიგობა დიდ ზიანს გამოიწვევს და დაღუპვისაკენ წაიყვანს არმიას. ათეულის უფროსმა მოიყვანა ერთი მაგალითი სამოქალაქო ომიდან, სადაც მოთვალთვალესა და გუშაგებს დაეძინათ, მტერი მიეპარა დასასვენებლად დაბანაკებულ ამხანაგებს და ტყვედ წაიყვანა. შემდეგ დასძინა, რომ არმიაში სასტიკად უნდა დაიცვა დისციპლინა, სხვაფერ წესრიგი შეუძლებელია, საქმე არ გაკეთდება და ყველა ისე მოიქცევა, როგორც მას მოეპრიანება, ხოლო ეს კი მტრისთვის ხელსაყრელია.

ამ მეცადინეობის შემდეგ აშკარა შეიქნა, თუ რატომ სწორმოებს არმიაში ყველაფერი სასტიკად განსაზღვრულ გეგმით. გასაგები გახდა, თუ რატომ ემორჩილება თვითეული სამხედრო მსახური სამხედრო წესრიგს—დისციპლინას.

ეხლა დარჩა გამოსარკვევი, თუ რატომაა არმიაში დაყენებული საქმე ისე, რომ ერთი უბრძანებს მეორეს და ხშირად კიდეც სჯის დისციპლინარული წესით. თუ რატომაა შემოღებული ეს, ამის ახსნას ათეულის უფროსი შეჰპირდა შემდეგისთვის.

ი. ბ.

## შეისწავლე 1905 წლის რევოლიუცია

### 1905 წლის რევოლიუცია საქართველოში.

#### სოფლად.

ის, რაც ქალაქებში ხდებოდა, გამოძახილს პოულობდა სოფლადაც: საქართველოს გლეხობა მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა 1905 წლის მოძრაობაში. გლეხთა მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერი იყო გურიაში.

რევოლიუციის ცეცხლი აგრარულ ნიადაგზე მთელ სოფლებს მოედო. მებრძოლი მშრომელი გლეხობა რევოლიუციონური გზით ართმევდა მემამულეებს მიწებს და ამუშავებდა; მშრომელი გლეხობა იარაღით ხელში აწარმოებდა ბრძოლას მემამულეების, თავადების, აზნაურებისა და მათი მცველების—ბოქაულებისა და ჩაფრების წინააღმდეგ. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, რევოლიუციის ცეცხლი განსაკუთრებით ძლიერი იყო გურიის გლეხობაში. ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: ბათუმის ფაბრიკებისა და ქარხნების დახურვის შემდეგ სოფლად დაბრუნდა გურული სოციალ-დემოკრატი მუშები. ამათ გააჩაღეს სოფლად მუშაობა. გურიაში მამულებიდან განდევნილ იქნა მემამულეები, განდევნილ იქნა ბოქაულები და ჩაფრები. მშრომელმა გლეხობამ აირჩია თავისი ათისთავები, ასისთავები და შექმნა რევოლიუციონური კომიტეტები.

თავად-აზნაურობა პირველ ხანებში დაიბნა, მაგრამ შემდეგ გონს მოვიდა. მათ მოინდომეს თავიანთი ნაძარცვი ქონებისა და მამულების ისევ უკან დაბრუნება. თავად-აზნაურობიდან რევოლიუციონურ გლეხობის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილ იქმნა შავი რაზმები.

რა თქმა უნდა, მთავრობამ მოამარაგა ეს რაზმები იარაღებით, ვინაიდან როგორც თავად-აზნაურობის, ისე მთავრობის მიზანი ერთი იყო: ჩაეხშოთ მშრომელთა შორის რევოლიუციონური მოძრაობა.

ძალის წინააღმდეგ საჭიროა ძალის დაპირისპირება. თავად-აზნაურთა შავი რაზმების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო მშრომელთა რაზმების შედგენა. და აი გლეხობამ შეადგინა კიდეც წითელი რაზმები. ასეთი რაზმები შედგენილ იქნა გურიაში, შორაპნის მაზრაში, ქიათურის რაიონში და სხვა.

იმ ადგილებში, სადაც ასეთი რაზმები იქნა შედგენილი, საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდი მიდიოდა; გლეხობა ადვილად გაუსწორდებოდა მემამულეების შავ რაზმებს, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ თავად-აზნაურობას ზურგს უმაგრებდა მეფის მოადგილე კავკასიაში. მუშების დამარცხების შემდეგ მთელ რუსეთის ტერიტორიაზე დაუწყეს სასტიკი დევნა აჯანყებულ ხალხს. ასევე მოხდა საქართველოშიც: რევოლიუციონური მოძრაობა ჩახშობილ იქნა მუშებისა და გლეხების სისხლში.

#### ვინ ხელმძღვანელობდა მოძრაობას?

ვინ ხელმძღვანელობდა მუშებისა და გლეხების რევოლიუციონურ გამოსვლებს საქართველოში? იმ დროს საქართველოში მუშაობდენ ბოლშევიკებიცა და მენშევიკებიც. მენშევიკები, იმ დროს ჯერ კიდევ არ იყვენ ისეთი გამცემლები რევოლიუციის, როგორც შემდეგში აღმოჩნდენ; მაგრამ ისინი მაშინაც ძალიან უშლიდენ ხელს რევოლიუციონურ მოძრაობას, ეწეოდენ ცილისწამებას ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავათ მათი საქმიანობისა, რევოლიუციონური მოძრაობა მიდიოდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობის ქვეშ (კავკასიის კომიტეტი შესდგებოდა სულ ბოლშევიკებისაგან: მიხა ცხაკაია, სტალინი და სხვა) და შეიარაღებულ გამოსვლებისა და აჯანყებების—ბოლშევიკური გზით. იქაც კი, სადაც მენშევიკები ძლიერნი იყვნენ, მასები მათი სურვილის წინააღმდეგ მიდიოდენ ბრძოლაში და არ იცდიდენ, როგორც ამას მენშევიკები ურჩევდენ მათ.

ი. ც—ნი.

#### სახელმძღვანელოები:

მასალები 1905 წლის რევოლიუციის შესახებ ვერაა ჯერ-ჯერობით წესრიგზე დალაგებული. ჯერ-ჯერობით ქართულ ენაზე გამოცემულია: 1) ამხ. თენგიზ ჟღენტი—1905 წელი გურიაში; 2) სევასტი თალაკვაძე—საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისთვის, ნაწილი 1-ლი, გვ. 129—149. 3) სხვა და სხვა ავტორების წერილები რევოლიუციის მატიანეს ნომრებში.

## უცხო სიტყვათა ახსნა

**ობსერვატორია**—დაწესებულება, რომელიც უთვალთვალებს და სწავლობს ღამის მნათობებსა და მათ მოძრაობას.

**ასტრონომია**—ციურ სხეულთა—მზის, მთვარის, ვარსკვლავებისა და ცდომილების შემსწავლი მეცნიერება.

**ბოიკოტი**—ყოველგვარ დამოკიდებულების შეწყვეტა ვინმესთან; უარი დაწესებულებაში და ან მთავრობაში მონაწილეობის მიღებაზე.

# პირველი დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის არსებობის სამი წლის თავი.

## მხედრული სალამი წითელ საკავშიროელებს!

### სამი წელი.

1-ლ. ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეული დღეს ზეიმობს და დღესასწაულობს თავის არსებობის სამი წლის თავს. სამმა წელმა განვლო მას შემდეგ რაც ქ. მ. დ. საინჟენერო ლეგიონი დაიყო ორ ნაწილად—(1922 წ. 10 დეკემბერს)—მე-



ც. საკ. ასეულის მეთაური ამხ. ჩარექოვი.

სანგრე და საკავშირო ასეულებათ.

ამ ხნიდან ჩვენმა ასეულმა იწყო არსებობა როგორც ცალკე ერთეულმა.

მართალია სრული სამი წელია, რაც არსებობს ჩვენი ასეული, მაგრამ ეს დროც საკმარისი შეიქნა იმისთვის, რომ დღეს სამი წლის არსებობის თავზე ასეულმა იამაყოს თავის წარსულით და მუშაობით, იამაყოს მისი გამარჯვებით, როგორც კულტურულ-პოლიტიკურ, აგრეთვე სპეციალურ და სამხედრო ფრონტზე.

საკავშირო ასეულს, როგორც სხვა წითელ ჯარის ნაწილებს, შეუძლია თამამათ იამაყოს მით, რომ მან ჩამორჩენილ სოფლებს, მისცა მხედრულად, კულტურულად, პოლიტიკურათ ჯანსაღი, მომზადებული და გაწრთვნილი ახალგაზრდობა, რომლებიც დღეს ჩაბმული არიან მუშაობაში, ახალი სოფლის ასაყვავებლათ და ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

ჩვენი ასეული საუკეთესოთ ასრულებდა და ასრულებს დიდი მასწავლებლის და მისი პარტიის ლოზუნგს მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცების შესახებ.

ქალაქად თუ ბანაკათ ყოფნის დროს მას განუწყვეტელი კავშირი ქონდა და აქვს მუშებთან და გლეხებთან.

ასეულმა მთელი თავისი მოქმედებით დაუმტკიცა გლეხობას, რომ წითელი არმია მტკიცე დამცველია გლეხობის და მუშების მშვიდობიან აღმშენებლობისა.

აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენი ნაწილის მიღწევები სპეციალურ დარგში. მან სახალხო კავშირსაც მისცა სათანადოთ მომზადებული ძალები. ასეულიდან უვადო შვებულებაში წასული წითელი არმიელების ნაწილი მუშაობს სახალხო კავშირის სხვა და სხვა დაწესებულებაში. შვებულ წითელ არმიელებს მჭიდრო კავშირი აქვთ ასეულთან, ზოგს წერილობით და ზოგს კი ვისაც საშვალება აქვს-ცოცხალი.

ისინი მუდამ მზათ არიან თუ საჭიროებამ მოითხოვა, შემოკრბენ ასეულში და გასწიონ წინ, სადაც მათ მიუთითებს მშრომელი ხალხის მთავრობა და მისგან დანიშნული მეთაურები.

10 დეკემბერს, ჩვენი ზეიმობის დღეს, ჩვენ ყველას გასაგონათ ვიმეორებთ, რომ ცოცხალი ტეხნიკურ კავშირის საქმეს, მომავალ ბრძოლაში (თუ კი ასეთი იქნება) ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენ პირველი ვიქნებით მებრძოლ ნაწილებთან, პოლიტიკურ კავშირის საქმეებში, რომ ჩვენ პირველნი ვიქნებით კავშირის საშვალებით, სასწრაფოდ ვამცნოთ მშრომელ მოსახლეობას, წითელ არმიის გამარჯვება და წინსვლას.

გაუმარჯოს ჩვენი ასეულის სამი წლის არსებობის თავს.

გაუმარჯოს ჩვენი ასეულის მომავალ საქმიანობას და მოქმედებებს.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ სახელოვან წითელ არმიას და მის ხელმძღვანელებს.

ასეულის სამხკომი ჰელიძე.

### პირველი ცალკე საკავშირო ასეულის წარსულიდან.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 12 აპრილს სათანადო ბრძანებით საფუძველი ჩაეყარა პირველ საკავშირო ათასეულს. ათასეულის უფროსად დანიშნული იქნა ამხ. დავით ებანოიძე, ხოლო სამხკომად კი ამხ. ქავთარაძე.

ათასეული შესდგა საკავშირო ასეულიდან, რომელიც ჩამოყალიბდა მენშევიკური ჯარის დაშლის შემდეგ ქ. ბათომში.

პირველ ხანებში საკავშირო ათასეული მეტად ცუდ პირობებში იმყოფებოდა. მართალია ნაწილი სპეციალურად ითვლებოდა, მაგრამ სპეციალისტები ნაკლებად იყო ათასეულში და ამის გამო შეუძლებელი იყო რაიმე მუშაობის წარმოება.

1921 წ. ზაფხულში გაიხსნა რადიო კურსები და ამან ცოტა ოდნავად გამოაკეთა მდგომარეობა. ამავე წლის შემოდგომაზე ბრძანების თანახმად საკავშირო და მესანგრეთა ათასეულები უნდა შეერთებულიყვენ და შემდგარიყო საინჟენერო ერთი ლეგიონი, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი 1921 წ. 25 ოქტომბერს.

არც ამ ლეგიონს ჰქონდა დიდი ხნის არსებობის ისტორია. ამავე წლის 22 დეკემბერს შესდგა ქართული შეერთებული ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში ათასეულის სახით შევიდა საინჟენერო ლეგიონიც.

1922 წ. იანვრის გამოწვევამ შეავსო ლეგიონი წითელ არმიელებით და მუშაობაც უნდა დაწყებულიყო, მაგრამ აქაც აღმოჩნდა ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები.

თბილისში დაბრუნების შემდეგ 1922 წ. 10 დეკემბერში საინჟენერო ათასეული დაიშალა და მის მაგიერ ჩამოყალიბდენ საკავშირო და მესანგრე ასეულები.

ამ დღიდან იწყება საკავშირო ასეულის ცალკე ერთეულად არსებობა. პირველ ხანებში ცუდათ მიდიოდა საქმე.დისციპლინა ძლიერ მოისუსტებდა.

მეორე მხრივ ასეულის მეთაურებიდან ასის თავისა და მისი თანაშემწეების გარდა თითქმის არც ერთი სპეცი არ ყოფილა. საჭირო შეიქნა სატელეფონო კურსების დაარსება. კურსებზე გამოწვეული იქნენ ქართული ნაწილების მეთაურები.

1923 წ. გაზაფხულზე მოხ. დარი გამოწვევის დროს წითელ არმიელებს ნაწილში საკმაოდ მომზადებული მეთაურერის ინსპექტორი სრულიად ბი დახვდენ და მათი მეცადინეობის საქმეც წარმატებით მიმდინარეობდა.

ზაფხულში ასეული საბანაკოდ გავიდა სოფ. წყნეთში. აქ იმდენათ ნაყოფიერი შეიქნა მუშაობა, რომ საბჭოთა კავში-



ც. საკ. ასეულის სამხკომი ამხ. ჰელიძე.

დააკმაყოფილა წითელ არმიელების გამოცდამ. მან მადლობა გადაუხადა ასეულს ტეხნიკურად ასეთი მომზადებისათვის და ჯილდოთ გადასცა ტეხნიკური ხასიათის 50 წიგნები და ჟურნალები შემდეგი წარწერით: „ასეულის ტეხნიკურად კარგი მომზადებისათვის“.

ამ ჟამად ასეულს თითქმის ყველა სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე მოეპოება.

1924 წ. ასეული მეორედ გავიდა საბანაკოდ სოფ. ახალდაბაში. აქ არმიის ყველა საკავშირო ასეულები იყო და მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობდა.მენშევიკური ავანტიურის დროს ასეულმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლაში და მით ერთხელ კიდევ ღირსეულად დაამტკიცა საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულება.

ოქტომბერში ვინაიდან საკავშირო ნაწილების შტატები შემცირდა და გაუქმდა თანამდებობა,დივიზიის კავშირის უფროსის ასეულის მეთაურად დარჩა ამხ. ებანოიძე, ხოლო სამხკომად კი ამხ. ჰელიძე.

შემდეგ ასეული მესამედ გავიდა ბანაკად სურამში, სადაც მან დიდი გამოცდილება მიიღო პრაქტიკულად კავშირის საქმეში (მანევრებზე). ბანაკის გათავების შემდეგ ასეული ბრუნდება თავის მუდმივ ბინაზე, სადაც ის მეტის ნაყოფიერობით და წარმატებით განაგრძობს მუშაობას თავის რიგების მეტი განმტკიცების და გაძლიერების საქმეში.

### წინ მივდივართ.

1-ლი არტლეგ. 3-მე სამთო ბატარეია.

ბატარეიის მთელი შემადგენლობა გულმოდგინეთ აწარმოებდა ახალწვეულებისადმი შესახვედრ მუშაობას.

კარანტინიდან გადმოყვანისა და ასეულებში განაწილების შემდეგ ახალწვეულებთან დაიწყო პოლიტიკური და სამხედრო მეცადინეობა, რასაც ზედმიწევნით კარგად ითვისებენ ამხანაგები, მაგრამ ამასთანავე ერთად არ დაგვვიწყებია წრეების მუშაობა და საჭირო საუბრების ჩატარება. განსაკუთრებით დიდ გულმოდგინეობით ეკიდებიან ამხანაგები წრეებში მეცადინეობას.

ლენკუთხეებში ხშირად იმართება საუბრები და ლიტერატურული გასამართლებები, რომლებშიდაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ახალწვეულები.

სამხკორი გ. ჩხენკელი.

### შვებულები პირნათლად ასრულებენ წითელი ჯარის დავალებას.

წ. არმიელი სოფლად.

წ. არმ. უვადო შვებულებაში გაშვების წინ, თითქმის ორ უკანასკნელ თვეებში, მუშაობა მიმართული იყო, მიმავალი წ.-არმიელთა სახით, მოგვემზადებია სოფლისათვის, საბჭოების, გლეხკომების, კოოპერატივის და საზოგ. ორგანიზაციების აქტიური წევრები და ხელმძღვანელები.

ჩატარებულ მუშაობამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, შედეგი მოგვცა.

დღეს ერთერთ ნაწილმა მიიღო სიღნაღის მაზრიდან ყოფ. წ.-არმიელის ამხ. იონაშვილისაგან წერილი, რომელშიც ის სცდილობს გააცნოს წითელ არმიაში მყოფ ამხანაგებს სოფლის მდგომარეობა და უვადო შვებულებაში გაშვებულ წ.-არმ. მუშაობის შედეგები.

ამხანაგი იწერება: „შევქმენით ამხანაგობა 21 წევრისაგან, რომლებმაც საერთო თანხით გამოვიწერეთ ტრაქტორი, 2 სახნისი და სალეწი მანქანა“.

მისვლისთანავე ისინი შეეცადენ მიეღოთ ზომები სოფლის ეკონომიური აღორძინებისათვის და ეს პირველი ნაბიჯი მოწმობს, რომ მომავალში მათი ღონისძიებანი, პირველი შედეგების მიღების შემდეგ გაორკეცდება. არ ივიწყებენ აგრეთვე კულტურულ მუშაობასაც: „გამოვიწერეთ ჩვენი საყვარელი გაზეთი „ახალი სოფელი“—იწერება ამხ. იონაშვილი.

ეს ზომები არ აკმაყოფილებს ამხანაგებს და სცდილობენ დაარსონ პოლიტ-წრე, მაგრამ აქ უკვე მათ ეღობებათ წინ სოფელში პოლიტიკური ლიტერატურის უქონლობა, რომელიც ხელს უშლის პოლიტწრის ჩამოყალიბებას.

ამხანაგებს აინტერესებს აგრეთვე წ. ყაზარმის ყოფაცხოვრება და სთხოვენ ამხანაგებს, წერილით აცნობონ თუ როგორი მუშაობა მიმდინარეობს ეხლა წითელ ყაზარმაში.

წ. არმიელები სოფლად არ ივიწყებენ მიცემულ ფიცს, რომ შეეცდებიან ხელი შეუწყონ ადგილობრივ ხელისუფლების ღონისძიებათა გატარებას და მიიღონ აქტიური მონაწილეობა სოფლის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინების საქმეში.

ა. კოპაძე.

### წვევამდელთა მომზადების წერტზე

## სამზადისი წვევამდელთა მისაღებათ

4-ე ლეგიონის 3-ე ათასეული.

რამოდენიმე დღეა მას შემდეგ, რაც დაიწყო ჩვენს წერტზე 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის აღწერა.ჩვენმა ათასეულმა თავისი მეთაურობით აქტიური მონაწილეობა მიიღო აღწერაში.

მოწვეულ იქნა ათასეულის მეთაურ და პოლიტშემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც გადაწყვეტილი იქნა, რომ შესაფერი მომზადებით შეხვდენ წვევამდელთა შეკრებას.

კრებაზედვე იქნა განაწილებული ყველა ამხანაგებ შორის ვალდებულებანი, თუ ვის რა უნდა გაეკეთებია. გამოყოფილ იქნენ აგრეთვე ზოგიერთი ამხანაგები, სხვა და სხვა სოფლებში გამოწვევის კამპანიის ჩასატარებლად.

სოფლების, თემების და სხვა პარტიულ-საბჭოთ ორგანიზაციებმა მართლაც ენერგიული ზომები მიიღეს. მათ გამოჰყვეს აქტიური წევრები და დაგზავნეს სოფლებში, რომ განემარტათ გლეხებისათვის ხსენებულ გამოწვევის მიზანი და მნიშვნელობა.

ზემო აღნიშნულ კრებაზე შემუშავებული იქნა ამხანაგებისათვის შეხვედრის გეგმა, რომლითაც ამხანაგების გამოცხადებისთანავე უნდა მოეწყოს კრებები, წარმოდგენები, კინო სურათები და სხვა.

სამხკორი ისარი.

### კულტურულ მუშაობის ფრონტზე.

1-ლი ლეგიონის 9-ე ასეული.

მე-9 ასეულში უკვე გაჩაღდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ასეულში გვაქვს მოწყობილი შემდეგი კუთხეები:

ლენინის, სამხედრო სანიტარული და სხვა, ცნობის ყუთით და კითხვა პასუხის რვეულებით.

ყოველ დღეს მოგვდის სისტემატიურათ შემდეგი გაზეთები: „წითელ არმიელი“ „კომუნისტი“ და სხვა ლიტერატურა, მაგრამ საჭიროა გამოგვიწერონ აგრეთვე გაზ. „ახალი სოფელი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“.

ასეულში დიდი ყურადღება ექცევა წერა კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციის საქმეს. ლეგიონის კლუბში ხშირად იმართება წარმოდგენები და კინო სურათები, რომლითაც ძლიერ დაინტერესებული არიან ახალწვეულები.

ჯერ ჯერობით ასეულში არ გამოდის კედლის გაზეთი და არც წრეებია დაარსებული. მიღებულია ზომები ყველა ამ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად. იმედი გვაქვს, რომ მოკლე ხანში ყველაფერი გვექნება.

სამხკორი პ. ვარდი.

### დროა მოგვექცეს ყურადღება.

მეთაურთა პოლიტსკოლა.

სკოლაში არა გვყავდა პარიკმახერი. ამ უკანასკნელად მოიყვანეს წითელ არმიელი, მაგრამ არა აქვს ხელსაწყოები და ვერ ვსარგებლობთ.

კურსანტებს პირის მოსაპარსავათ უნდება თავის ჯამაგირი. მნე შეგვპირდა, ხელსაწყოებს შევიძენო, მაგრამ დაპირება მარტო სიტყვებათ დარჩა. საჭიროა დროზე შეასრულოს მნემ თავისი დაპირება.

კურსანტი მუშკუნა.

## ვინ იქნება შემდეგი?

ამხ. თავართქილაძის გამოწვევაზე, ვიწერ გაზეთ. „წითელ არმიელს“ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ასისთავს ამხ. ქუთელიას, მეთაურთა სკოლიდან ასისთავ პ. კიკნაძეს, ტყვიამფრქვევ ასეულის თავს ამხ. კ. ჩიჩუას, ტერსამმართველოს ინსტუქტორ კაკაურიძეს, ტერსამმართველოს ნაწილის უფროსს კ. ცქიტიშვილს და მეორე ქართ. დივიზიის ოპ. ნაწილის უფროსს ამხ. ყუფარაძეს.

გიორგი კიკნაძე,

ამხ. თავართქილაძის გამოწვევაზე ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ 2-რი თვით და ვიწვევ ამხ. სევერიან ნადარაიას.

ილ. ქელბაქიანი.

6-ნე ლეგიონის 3-მე ათასეულის მთელი უფ-პოლიტ-შემადგენლობა სათითაოდ ვიწერთ გაზ. „წითელ არმიელს“ და ვიწვევთ შემდეგ დაწესებულებებს: თელავის მაზრის პარტკომს სრული შემადგენლობით; ამავე მაზრის ახკომკავშირის ორგანიზაციას; თელავის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გიგო ქურციკაშვილს თავის თანამშრომლებით, რათა ყველამ პერსონალურად გამოგვეხმაურონ და გამოიწერონ გაზ. „წითელი არმიელი“.

მესამე ათასეულის უფპოლიტშემადგენლობის მონდობილობით დ. ჭანკვეტაძე.

**შეცდომის გასწორება.**

გაზ. „წითელ არმიელის“ № 279-ში მოთავსებული უსახელო გამოწვევა ეკუთვნის ამხ. ანჯაფარიძეს.

რედ.

## სამნეო მდგომარეობა გამოკეთდა·

**ქართ. ცხენოსანი ლეგიონი·**

ცხენოსანი ლეგიონის შესახებ მოთავსებულ წერილებმა სხვა და სხვა ნაკლულევანებებზე გასჭრა. სამნეო მდგომარეობა ლეგიონში ძლიერ გამოკეთდა.

პური კარგი ცხვება. სადილები ნოყიერი და სუფთად მზადდება. იმედია მდგომარეობა კიდევ უფრო გამოკეთდება და უფრო კარგ ნიადაგზე დადგება ჩვენი ცხოვრება.

სამხკური პ. კახიძე.

## პარტიული ცხოვრება

**მე-4 ლეგ. სკოლის კომუჯრედის საქმიანობიდან.**

ბევრი ტეხნიკური დაბრკოლებები შეხვდა და შეხვდება კიდეც სკოლის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას, მაგრამ მიუხედავათ ამისა კურსანტების მოსვლისთანავე, მოხდა პარტამხანაგების აღრიცხვა, რის შემდეგ მოწვეულ იქნა 2-ნოემბერს საერთო დახურული კრება.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ადამიამ, უჯრედის მუშაობაზე და წევრების მოვალეობაზე. გაკეთებულ იქნა აგრეთვე მოხსენება პარტდამხმარე ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ, რის შემდეგ არჩეულ იქნა ახკომკავშირის ორგანიზატორად ამხ. ჭელიძე.

მეორე სხდომა მოწვეულ იქნა 4 დეკემბერს. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) კომუჯრედის ერთ თვიური სამუშაო გეგმის განხილვა 2) პარტ-სამხედრო დისციპლინა 3) წერკუმსი და მისი ამოცანები და 4) მიმდინარე საკითხები.

კომუჯრედის გეგმა განხილულ იქნა დაწვრილებით და სათანადო შესწორების შემდეგ დამტკიცდა. მეორე საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. ადამიამ. შეეხო პარტსამხედრო დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობას, რომელიც თავდებია სკოლის წინსვლის.

მოვისმინეთ აგრეთვე მოხსენება წერკუმსის მიზნებზე და უჯრედების მუშაობის შინაარსზე.

დადგენილ იქნა, ეს საკითხი გადატანილ იქნეს საერთო კრებაზე და ჩამოყალიბებულ იქნეს ამ საზოგადოების უჯრედი.

ახალწვეულები დიდ აქტივობას იჩენენ მუშაობაში.

შურდული.

**მე-4 ლეგ. მე-5 ასეულის კომუჯრედი.**

3 დეკემბერს შესდგა მეხუთე ასეულის კომუჯრედის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრენ ცვალებადი პარტიული და უპარტიო წითელ არმიელები.

გაკეთებული იქნა მოხსენება პარტ-ამხანაგების ამოცანებზე წითელ ჯარში მუშაობის დროს. მოხსენება შინაარსიანი და ვრცელი იყო, რომელმაც სწორი ფაქტები მოგვაწოდა პარტ-ამხანაგების ჯარში მუშაობის შესახებ. იყო მრავალი შეკითხვები, რის შემდეგ კრებამ მოხსენების ირგვლივ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

ბოლოს განხილული იქნა ამხანაგების განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ, რაზედაც აღიძრა სათანადო ორგანოს წინაშე შუამდგომლობა მათი განცხადების დაკმაყოფილების შესახებ.

მეთ. ა. ხიტირია

## უცხოეთის არმიებში

**ამერიკა იარაღდება.**

**ოთხი მილიარდი საჰაერო ფლოტისთვის.**

ამერიკა სერიოზულ ყურადღებას აქცევს საჰაერო ფლოტის გაძლიერების საქმეს. 1923 წელში საჰაერო ფლოტის საჭიროებისათვის გადადებული იქნა 13 მილიონი 250 მილიონი დოლარიდან, რომელიც გადადებული იყო სამხედრო უწყებისათვის. სულ ამ ათი წლის განმავლობაში საჰაერო ფლოტის გაძლიერებისათვის 2108 მილიონი დოლარი ე. ი. 4 მილიარდ მანეთზე მეტი.

ამ ჟამად ცდილობენ ახალი გაუმჯობესებული ტიპის ჰაეროპლანების აგებას. აგვისტოში მოხდა იმ ჰაეროპლანების გამოცდა, რომელთა კედლებს ვერ სჭრის ტყვია და თითონაც შეიარაღებული არიან ტყვიამფრქვევებითა და მცირე ყალიბის ზარბაზნებით.

მოხდა აგრეთვე ლიარსენის სისტემის ჰაეროპლანის გამოცდა, რომელზედაც იმყოფება 30 ტყვიამფრქვევი. ყველა ტყვიამფრქვევებს მართავს მხოლოდ ერთი კაცი, რომელსაც შეუძლია 40.000 ტყვიის გაშვება წუთში.

**ქიმიის მიღწევები.**

1923 წლის განმავლობაში სამხედრო ქიმიური ორგანიზაციების საჭიროებისათვის ამერიკამ გადასდო 9 მილიონი დოლარი, ყველა იმ თანხებს გარდა, რომლებიც გადადებული იყო სამხედრო უწყებისათვის.

ედვუდჯდის არსენალში (ამერიკის მთავარი სამხედრო საწყობია) ქიმიური გარნიზონი გადიდებული იქნა 84 ოფიცრამდე, 475 ჯარისკაცამდე. ამათ გარდა გარნიზონში შეყვანილი იქნა 300 მოქალაქე, რომელთა შორის 73 სპეციალისტია და 5-თი კი ქიმიის დოქტორები (სამეცნიერო ხარისხია).

გამუდმებულად სწარმოებს ქიმიური ომისა და თავდაცვის ახალი საშვალებათა ძიება. გაამჯობესეს ჰაირსაწინაღმდეგო ნიღაბი, რომელშიაც არსებობს ერთი განყოფილება; ამ განყოფილების საშვალებით შესაძლებელია სხვასთან ლაპარაკის წარმოება და ელსმენის მოხმარა.

სწარმოებს აგრეთვე გაზების წინაღმდეგ მოქმედების ცდები. 1923—24 წლების განმავლობაში საზღვაო მსახურთათვის დამზადებული იქნა 23.000 ჰაირ საწინაღმდეგო ნიღაბები.

ქიმიური თავდაცვის მომზადებისათვის ხმარობენ ცრემლის მომგვრელ გაზს. ჯარის კაცებსასწავლიან სიარულს, სირბილს ნიღაბებში და გაზების ღრუბლებში ბრძოლას. ყველა ასეთ მოქმედების დროს ჯარის კაცებს აქვთ ყიბლანები, რომლის საშვალებით ისინი სდგებიან გაგნებაზე ე. ი. არ ჰკარგავენ იმ მიმართულებას, რომლის მიმართულებითაც უნდა იმოძრაონ მათ.

**უძლიერესი არტილერია**

ზედმიწევნით აუმჯობესებენ ამერიკაში არტილერიასაც. დამზადებული იქნა ახალი 65 მილიმეტრიანი ზარბაზანი. გაუმჯობესებული იქნა აგრეთვე არსებული ძველი იარაღები.

რომ გაძლიერებული ყოფილიყო არტილერიას ჩქარი მოძრაობის უნარიანობა, ცხენების მაგივრად, დიდი ზარბაზნების გადასატანათ ამერიკელებმა მოიხმარეს დაბალ თვლებიანი მანქანები—ტრაქტორები. მსუბუქი არტილერია ძველებურად გადააქვთ ცხენების საშვალებით, რადგანაც მათი დადგმა ავტომობილზე და ტრაქტორის ლაფეტებზე შეუძლებელი შეიქნა.

## ამბები სოფლებიდან.

**ახალქალაქის აღმასკომმა** დაადგინა მისცეს საჩუქრები იმ თემებს, სადაც თავის დროზე იქნება მოგროვებული სას.-სამ. გადასახადი.

**აგურხანა დილომში.** სოფ. დილომში გლეხკომი აგებს აგურის ქარხანას. მუშაობას შეუდგებიან ერთ თვეში.

**ულარიბეს მოწაფეებს** დილომის გლეხკომმა უყიდა 40 მანეთის სასწავლო ნივთები.

## ახალი ამბები.

— **კინოსურათები წითელ არმიელთათვის.** „სოვკინომ“ (საბჭოთა კინო) შეღავათიან ფასებში დაუთმო სურათები წითელ არმიელთა კინო-თეატრებს.

— **თბილისის მაზრაში აგრონომიულ მუშაობისათვის** ხელის შესაწყობათ ტფ. აღმასკომმა გადასდო 1250 მანეთი.

— **ტფ. აღმასკომმა** დაადგინა მოაწყოს მაზრაში მოძრავი სას.-სამ. იარაღების საწყობი.

— **საბინაო მშენებლობა.** უმაღ. სამეურნეო საბჭო შეუდგა 5 წლიანი გეგმის შედგენას მუშათა საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ.

— **საქ. საგეგმო კომისიამ** დაამტკიცა აჭარისტანის 1925-26 წლის საამშენებლო გეგმა.

— **მევენახეობის აღსადგენათ.** ამიერ-კავკასიაში მევენახეობის აღსადგენათ საფრანგეთში შეძენილ იქნა 3.235 ათასი ცალი ამერიკული ნამყენი ვაზი.

— **სოც. დაზღვევის** სამმართველომ ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში აილო 50 ადგილი დაზღვეულთათვის.

— **ახალი ქარხანა.** დაბაგალში (სამურზაყანო) უკვე შეუდგენ ბამბის საწმენდ ქარხნის აგებას.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ახალი მეცნიერული ცნობები მარსის შესახებ.**

ცდომილი მარსის შესახებ დიდი მითქმა მოთქმა იყო ჯერ კიდევ შარშან, მისი დედამიწასთან მოახლოების გამო.

ბევრმა ცნობილ მეცნიერებმა გამოსთქვეს თავისი აზრი იმის შესახებ „შესაძლებელია პლანეტა მარსზე სიცოცხლე—ცხოვრება თუ არა. ამ ჟამად გამოქვეყნდა ვილსონის მთაზე მოთავსებულ ობსერვატორიის დირექტორის—ჩარლზ დჟონსონის გამოკვლევათა შედეგები მარსის შესახებ. ეს გამოჩენილი ასტრონომი ამბობს, რომ დედამიწასთან ყველა პლანეტებზე უფრო ახლო მყოფი—პლანეტა მარსზე, ცოტა სხვაგვარი პირობები არსებობს სიცოცხლის განვითარებისათვის, ვინემ ეს დედამიწაზეა. მარსზე ორჯერ უფრო ნაკლები წყლის რაოდენობაა, ვინემ დედამიწაზე. მარსის ატმოსფერაში მყოფ ჟანგბადის (ჰაერის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს წვას და ურომლისოდაც შეუძლებელია სიცოცხლე) რაოდენობა შეადგენს დედამიწის ატმოსფერაში არსებულ ჟანგბადის რაოდენობის 60 პროც. ტემპერატურა კი მარსზე დაახლოვებით ისეთია, როგორც დედამიწაზე.

**ელექტრონის ტრამვაი ულიანდაგოთ.**

სავოიის (საფრანგეთის სამხრეთი ნაწილია) ორ პატარა ქალაქ შორის გაყვანილია ელექტრონის ტრამვაი ულიანდაგოთ.

ტრამვაის რონოდები (ვაგონები) მოძრაობენ ჩვეულებრივ გზატკეცილზე. თითეულ რონოდაზე მოთავსებულია პატარა ელექტრო მოტორები, რომლებიც ელექტრო ჩქერს ღებულობენ, ბოძებზე გაყვანილ მავთულებისაგან.

გარეგნულად რონოდები ძლიერ წააგავენ ავტობუსებს, რადგან მათ ასეთივე საჭე აქვთ და გაბერილ რეზინიანი თვლები—ბორბლები.

მთელი გზის სიგრძე უდრის 25 ვერსს. გადასვლა-გადმოსვლის სიჩქარე ასეთი ტრამვაით უდრის საათში საშვალოდ 30 ვერსს.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. 121-ს** (5-თე ლეგ.) თქვენი წერილი „მოგვეცით შენობა“, გადაეცა ლეგიონის შტაბს საქმის მოსაგვარებლად.

**ამხ. ჯახუტიშვილს** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი სამხკორთა ექსკურსიის შესახებ არ დაიბეჭდება, ამაზე გავიდა ჩვენს გაზეთში. მოიწერეთ სხვაზე.

**ამხ. მხედ რს.** თქვენი ლექსი „დიადი ბელადის ხსოვნას“ არ გამოდგა.

**ამხ. შ. მოსეშვილს.** თქვენი ლექსი „წითელ არმიელს“ გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

თბილისში მდგომ ყველა ჩვენი ნაწილების საყურადღებოთ, გაზეთ „წითელ არმიელის“ კანტორა აცხადებს, რომ მათ (ნაწილებმა) გაზეთები უნდა მოიკითხონ რედაქციაში დილის ცხრა საათამდე. ვინც დაიგვიანებს გაზეთებს იმ დღეს ვეღარ მიიღებს.

## ვის აქვს საწინაალმდეგო?

1-ლ ქ. მ. დივიზიის შტაბისა და პოლიტ-განყოფილების კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მელიქიძეს, მცხოვრებს ახალციხის მაზრის სოფ. ტოლოში, გლეხი, დივიზიის კლუბის უფროსი. უჯრედი სთხოვს ყველას, თუ რაიმე საწინაალმდეგო გაქვთ, ან რაიმე უარყოფითი იცით ზემოხსენებულ პირზე, საბუთები გადმოგზავნეთ ათი დღის განმავლობაში შემდეგი მისამართით: 1-ლ ქართულ მსრ. დივიზ. შტაბისა და პოლიტ-განყოფილების კომუჯრედის ბიურო.

შტაბისა და პოლიტ-განყოფ. კომუჯრედის მდივანი გ. გაბისონია.

## თბილისში მდგომ ქართულ ნაწილების სამხკომთა საყურადღებოთ.

10 დეკემბერს გაგზავნილ უნდა იქნენ წარმომადგენლები ლიტერატურის მისაღებათ არმიის პოლიტსამმართველოში (ოთახი № 15)

შემდეგი გაცემა ლიტერატურის იწარმოებს მხოლოდ 21 დეკემბერს.

ნ. დ. ს. ც

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე